| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვეზე | მან. | კ. | თვეზე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქვევრის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ.

## ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.


შესასვლელი ეგზამენები და ხელმეორედ გამოცდა ტფილისის მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში მოხდება 24, 26 და 27 აგვისტოს.

თხოვნა წარდგენილ უნდა იქმნას სასწავლებლის დირექტორის სახელობაზედ და მასთან ერთად: 1) წლოვანობის მოწმობა (და არა აღმოწერილობა), 2) ყვავილის აცრის მოწმობა და წერილობითი თავდებობა მშობელთა ანუ მზრუნველთა მასზედ, რომ მიბარებული ყმაწვილი მათს მზრუნველობასა და მხედველობას ქვეშ იქნება. მისაბარებელი ყმაწვილები უნდა იყვნენ ჯანსაღნი არა მცირე $13^1/_2$ და არა უმეტეს 18 წლისა. შემომსვლელთ მოეთხოვებათ ცოდნა პირველდაწყებით სასწავლებელთა კურსისა. (1—105—1)

### უმაღლესი ბრძანება

შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ხიზანთა დებულების დამტკიცებისა. სახელმწიფო საბჭომ, განიხილა რა კანონთა და სახელმწიფო ეკონომიის შეერთებულს დეპარტამენტში და საერთო კრებაზე მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა შესახებ მამულით მოწყობისა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მებატონეთა მამულებში ხიზანთა დებულების უფლებით დასახელებულ გლეხთა, დაადგინა:

I ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ხიზანთა დებულების პროექტი წარედგინოს მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას უმაღლესად დასამტკიცებლად.

II აღსრულება ამ დებულების კანონთა (მუხ. I) დაეკისროს ხსენებულ გუბერნიების საგლეხო საქმეთათვის დაარსებულ დაწესებულებათ.

მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ მოხსენებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი, 3 ივნისს 1891 წელსა, კეთილ ინება და უმაღლესად დაამტკიცა და ბრძანა აღსრულება.

### დებულება

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ხიზანთა

(უმაღლესად დამტკიცებული 3 ივნისს 1891 წელსა).

1) ამ დებულების ძალით ხიზნებად ირიცხებიან ის მიწის მფლობელნი გლეხნი, რომელნიც ამ დებულების გამოცხადებამდე დასახლებულნი არიან ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის მებატონეთა მამულებში და რომელთაც ამ მიწის მფლობელობისა და სხვაგვარ სარგებლობის შესახებ ვადიანი პირობა არა აქვთ მებატონეებთან არც მიღებულის წესით შეკრული და შემოწმებული და არც თუნდა შინაურული, რომელსაც ორივე მხარე უარს არ ჰყოფდეს.

2) ყოველი სამოსახლო, სახნავი, სათიბი და საბალო ადგილი, და აგრეთვე უფლება საქონლის წყლის დალევინებისა, საძოვრად გარეკისა, მორწყვისა, საძოვრისა და ტყის ხმარებისა, რაიცა ხიზანთ სჭერიათ და ჰქონიათ ამ დებულების გამოცხადებამდე, ამიერიდგანაც მათ რჩებათ იმავე გარდასახადით, რაც აქამდის უძლევიათ.

სხოლიო. ამ მუხლში აღნიშნული საურთიერთო უფლებანი დ̃ მოვალეობანი მებატონესი და ხიზანისა, შეიძლება მათ შორის, ერთურთ შორის მორიგებით, უვადო წერილობით პირობადაც დაიდოს.

3) სახლები და ყოველ-გვარი სასახლო მოწყობილობა, ხიზნების მიერ მებატონის მამულში აშენებული, და აგრეთვე რაც-კი რამ ხიზნებს დაურგავთ მათ მიერ გაშენებულს ბაღსა და ვენახებში, მათივე საკუთრებაა.

4) ყოველგვარი ცვლილება ხიზანის მიერ მიწის მფლობელობასა, მისს მფლობელობითს უფლებასა და აგრეთვე გარდასახადებში მებატონეს შეუძლიან მოახდინოს მხოლოდ ხიზანის თანხმობით. თუ ეს პირობა დაარღვია, მაშინ მებატონე ამ დებულების მე-7 მუხლის თანახმად აგებს პასუხსა.

5) მებატონეს შეუძლიან, უარი უთხრას ხიზანს მიწის მფლობელობაზე, მხოლოდ ერთის წლის წინად-კი უნდა შეატყობინოს და დააჯილდოვოს თანახმად მე-7 მუხლისა. აგრეთვე ხიზანს შეუძლიან, ერთის წლის წინად განუცხადოს მებატონეს, იკისროს მე-6 მუხლში მოხსენებული პირობანი და უარი ჰყოს მიწის მფლობელობა. და სხვა გვარ სარგებლობა, ანუ ცნობიერად მებატონისა ამგვარი თავისი უფლებანი და მოვალეობანი სხვა კაცს გარდასცეს. თუ საეჭვო იქნება შეძლებულობა გლეხისა, რომელსაც მამული უნდა გარდაეცეს, მებატონეს უფლება აქვს, შეაჩეროს მამულის გარდაცემა და ეს გარემოება განუცხადოს შუამავალს მომრიგებელს, რომელსაც ნება აქვს, ან დასტური დასცეს, ან აღუკრძალოს გარდაცემა. ხოლო თუ იმ გლეხს, რომელიც მამულს იბარებს, არც ძველი გარდაუხდელი გარდასახადი აღმოუჩნდება და ერთის წლის გარდასახადსაც წინად მისცემს, მაშინ თუ მებატონემ ნება არ მისცა მამულის გარდაცემისა, პასუხი უნდა აგოს თანახმად მე-7 მუხლისა.

სხოლიო. მებატონის ან ხიზანის მიერ განცხადებული უარი ყველა უფლებათა და მოვალეობათა უარყოფად ჩაითვლება, თუ ამ საგანზე მათ შორის სხვა რაიმე მორიგება არ მოხდება.

6) თუ ხიზანმა უარი ჰყო თავის მიერ ნამფლობი მებატონის მამული, მაშინ ის მიწა და ყოველივე შიგ აშენებული და დანერგული მებატონეს ხელში გადადის და არც ვალდებულია მებატონე, ხიზანი რითიმე დააჯილდოვოს.

7) თუ მებატონემ ხიზანს მამულზე უარი უთხრა, მაშინ ვალდებულია, იმ რიგად დააჯილდოვოს ხიზანი, როგორც ერთმანეთში მორიგდებიან. თუ ამ გვარი მორიგება არ მოხდა, მაშინ ვალდებულია, უზღოს ხიზანს განსაკუთრებულ დაფასების მიხედვით (მუხ. 8) ერთი ორად ღირებული ყოველისავე იმისა, რაც ხიზანს აუშენებია, გაუშენებია და დაურგავს მებატონის მამულში და აგრეთვე იმისიც, რაც რამ ხარჯი მოსვლია მფლობელობის დროს მებატონის სამოსახლო, სახნავებისა, სათიბებისა და საბალო ადგილების განსაკარგებლად.

სხოლიო. თუ ხიზანი ისურვებს შენობების მასალის წაღებას, მაშინ მებატონე ვალდებული აღარ არის, ამ შენობების ღირებული მისცეს ხიზანს.

8) ხიზანის კუთვნილი, მებატონის მამულზე აშენებული შენობები, დანერგულობა და ის ხარჯი, რაც მამულის განსაკარგებლად მოსვლია მფლობელობის დროს (მუხ. 7), გამოცდილმა კაცებმა უნდა დააფასონ, რომელნიც ამორჩეულ იქნებიან ორისავე მხარეს ერთმანეთში მორიგებით. თუ ეს მორიგება არ მოხდება, მაშინ მომრიგებელმა შუამავალმა უნდა დააფასოს ადგილობრივ მცხოვრებთა (რიცხვით 3—5) თანადასწრებით, რომელთა ჩვენება დ̃ პასუხი დაფასების ოქმში უნდა ჩაიწეროს. თუ ორმავე მხარემა არა სთქვა რა დაფასების წინააღმდეგ, მაშინ ეს დაფასება მათთვის სავალდებულოა. წინააღმდეგს შემთხვევაში დაფასება და ის, რაც მის წინააღმდეგ ითქმის, ადგილობრივს საგუბერნიო საგლეხო საქმეთათვის დაარსებულს დაწესებულებას უნდა წარედგინოს და ამ დაწესებულებას ნება აქვს, ან დაამტკიცოს დაფასება, ან ფასი მოუმატოს არა უმეტეს 20$^0/_0$ და ან ხელმეორედ დაფასება დანიშნოს. ამ დაწესებულების გარდაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქმნას მოყვანილი სისრულეში.

9) მებატონისა და ხიზანის შორის საურთიერთო მოვალეობასა და მამულის მფლობელობაზე ატეხილი დავა უნდა გლეხთათვის დაწესებულმა მომრიგებელმა სასამართლო დაწესებულებამ გადასწყვიტოს საზოგადოდ მიღებულის წესით, ხოლო იმ საქმეების გარჩევის დროს, რომელიც ხიზნების მიერ მებატონესთვის დროზე გარდასახადის მიცემას შეეხება, უნდა იხელმძღვანელონ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიის გლეხთა მიწით მოწყობის ადგილობრივის დებულების კანონებით (კრ. კან. ნაწ. IX გან. დამ. XX მუხ. 768—17).

10) უვადო მფლობელობა ხიზანთა მიერ მებატონის მამულითა, მათის მებატონესთან მორიგებით შეიძლება ვადიანად იქცეს წერილობითის პირობის ძალით, რომელიც უნდა შეამოწმოს მომრიგებელმა შუამავალმა (კრ. კან. IX გან. დამ. III მუხ. 85 და 88) და ან კიდევ საკუთრებად შეიძინონ ხიზნებმა მათი ნამფლობი მებატონის მამული მთავრობის დახმარებით.

## ახალი ამბავი

*** სოფ. ლესაური. 4 აგვისტოს ლესაურის ღვთისმშობლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა განსვენებულის თ. მამია გურიელის პანაშვიდი. ადგილობრივმა მღვდელმა მამა ნესტორ კონტრიძემ აუხსნა დამსწრეთ, ვინ იყო მამია და რა ღვაწლი მიუძღვის ქართველთა წინაშე. ხალხმა დიდის მადლობით მოისმინა მ. კონტრიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

*** ბლაღოჩინი დეკანოზი ნიკოლოოზ კალისტოვი უწმიდესის სინოდის განკარგულებით გადაყვანილ იქნა კიევის გუბერნიის ქ. უმანში მღვდლად.

*** ამ თთვის 9 რკინის გზის სადგურს ხაშურსა და გომს შუა შემდეგი უბედურება მოხდა. იმ დროს, როდესაც ბათუმიდგან ტფილისში მოდიოდა საქონლის მატარებელი № 33, 12 წლის მწყემსი გეგელაშვილი გაიქცა საქონლის გადასარეკად რკინის გზის ლიანდაგიდგან. მატარებელმა მოასწრო და ფეხი მოაგდებინა. საბრალო ფეხ-მოჭრილი ბავშვი ტფილისში გამოჰგზავნეს მოსარჩენად, მაგრამ მცხეთასა და ავჭალას შუა სული დალია.

*** გუშინ, ამ თთვის 10 ტფილისიდგან ბათუმში გაემგზავრა ხუთი ებრაელთა ოჯახობა, რომელიც ბარონ გირშის ხარჯით არგენტინის რესპუბლიკაში (ამირიკაში) მიდიან დასასახლებლად. გუშინ-წინ კიდევ რკინის გზითვე გაემგზავრა ოთხი ებრაელთა ოჯახობა. ამ უკანასკნელს ერთს კვირაში თხუთმეტამდე ებრაელთა ოჯახობა წავიდა ამერიკისკენ ბარონ გირშის ხარჯით.

*** ტფილისის იუნკრების სასწავლებელი ამ თთვის 15 სურამიდამ ტფილისში ჩამოვა.

*** განცხადებათა გასაკრავ ბოძების იჯარადარი ქალაქის გამგეობისა ბ-ნი ევანგულოვი ბოძებს არ ანებებს ახალს იჯარადარს ბ-ნს ვართანიანცს, რომელსაც ამ თთვის 8 რიცხვს უნდა ჩაებარებინა ეს ბოძები. ბ-ნი ევანგულოვი იმიტომ არ ანებებს ბოძებს, რომ განცხადებების გაკვრა იმ დღეს-კი არ დამიწყია, როცა ქალაქს პირობით შევეკარი ე. ი. 1885 წლის 8 მარიამობისთთვეს, არამედ 1886 წლ. 26 გიორგობისთთვიდამ, რადგან მხოლოდ ამ დროს იყო ბოძები მზად და, ქალაქის საბჭოს ნება დართვით, ამ დროდამ დავიწყე განცხადებათა გაკვრაო. ამიტომაც ექვსიძ წლის ვადა მხოლოდ მომავალის წლის 26-ს გიოგრობისთთვეს შესრულდება და მხოლოდ მაშინ შემიძლია, გადავცე ახალს იჯარადარს განცხადებათა გაკვრის უფლებაო. ქალაქის გამგეობა უპირებს ჩივილს ბ-ნ ევანგულოვს და უნდა სთხოვოს სასამართლოს, როგორც ბოძების ჩამორთმევა, აგრეთვე ის ზარალიც, რომელიც ახალის საიჯარადრო გადასახადის პირობით მიეცემა ქალაქს.

*** ცხენის რკინის გზის გამგებელთ ყველა ვაგონებში გამოუკრავთ შემდეგი განცხადება: ა) ვაგონში 24 კაცის

ადგილია და ვაგონის წინა ფარდულის ქვეშ და ორივეს მხრით საფეხურებზედ დგომა აღკრძალულია; ვ) ვაგონებში თამბაქოს მოწევა აღკრძალულია.

თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მადლობელი უნდა ვიყოთ და იმედიც გვექნება, რომ ამას იქით მაინც წესრიგიანობა ჩამოვარდება ცხენის რკინის გზის ვაგონებში. ხშირად ისე გაიტენებოდა ხოლმე ვაგონი, რომ თითქმის გზა არ იყო, რომ კაცი გადმოსულიყო ძირს, თუ არა დიდის ამბითა. ამას გარდა თამბაქოს წევა ხომ სულს უხუთავდა ვაგონში მჯდომთ. ხშირად ისეც მომხდარა, რომ კაცი განგებ ჩამოსულა ვაგონიდამ, რადგან ველარ მოუთმენია მყრალი და საძაგელი სუნი წეკოსი, რომლის ბოლი ხანდისხან ბოლთა-ბოლთა ცხვირში სცემს ადამიანს წინა ადგილზედ მჯდომისაგან. განსაკუთრებით აწუხებდა თამბაქოს წევა მანდილოსნებს, ბავშვებსა და საზოგადოდ ავადმყოფებს.

*** ტფილისის ნოტარიუსები დანიშნულს გადასახადს იხდიან ქალაქის სასარგებლოდ ყოველს აქტზედ, რომელიც-კი ნოტარიუსის საშუალებით დაწერილი და დამოწმებული იქნება. წარსულის ივლისის თთვის განმავლობაში ნოტარიუსებისაგან ჩვენს ქალაქს მიუღია 1.736 მან. და 75 კ., ხოლო ამ წლის 1-ლ იანვრიდამვიდრე 1-ლ მარიამობის თთვემდე—4.697 მან. და 53 კ.

*** გუშინ-წინ, დილის 10 საათზე, შუა ბაზარში, სარქისოვის მაღაზიაში შემდეგი ამბავი მოხდა: მაღაზიაში შესულა იუნკერი გიორგი კოლბე და უთხოვნია, რევოლვერი მიჩვენეთო; თან პატრონებიც მოუთხოვნია და დაუწყია სინჯვა: ალბად თავის მოკვლის განზრახვა ჰქონია. უცბად რევოლველი გავარდნილა და კოლბე იქვე მძიმედ დაჭრილი დაცემულა. საჩქაროდ პოლიცია მივიდა და კოლბე საავადმყოფოში წაიყვანეს.

ტყვია მარცხენა ძუძუში მოჰხვედრია და ექიმებს იმედი არა აქვთ ახალგაზდა, 21 წლის, კოლბეს მორჩენისა.

*** ვაქების პროგიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ მოსამზადებელ კლასის დაბალს განყოფილებაში შესასვლელი ეგზამენი დანიშნულია 26 მარიამობისათვისაო, ხოლო ხელ-მეორედ გამოცდა პირველ კლასიდამ დაწყებული მეხუთე კლასამდე—ამ თთვის 27-სა და 28 იქნება. ხელ-მეორე ეგზამენების შემდეგ თუ აღმოჩნდება, რომ რომელსამე კლასში თავისუფალი ადგილი იქნება, იმ კლასში შესასვლელი ეგზამენი 31 მარიამობისთთვეს იქნება. მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში თავისუფალი ადგილი არ არის და არც იმედია, რომ იქმნესო.

*** რამდენი საჩივარი გამოცხადებულა შესახებ იმისა, რომ ტფილისის სამკურნალო სავსეა სულით ავადმყოფებითა და ადგილი აღარ არის, რომ მეტი მიიღონ. ამ გაჭირვების ასაცდენად ცალკე დროებითი შენობა აავეს 30 კაცისათვის ტფილისის მიხეილის სამკურნალოსთან. შენობა დიდი ხანია დამთავრებულია, მაგრამ ამას წინად კომისიამ რაღაც ნაკლულება ჰნახა ამ შენობაში და, სანამ იმას არ შეასწორებდნენ, ნება არ მისცა სადგომის გამართვისა. შესაკეთებელი ფული აკლდათ და საქმე აქამომდე შეჩერებული იყო სულ უბრალოზედ.

ეხლა როგორც გაზ. ნოვ. ობოზრ.“-ეს შეუტყვია ამ საქმეს შველა მისცემია: მთავარმართებელს განკარგულება მოუხდენია, 715 მან. და 79 კ. საერობო თანხიდამ მიეცეს ამ სამკურნალოს დასამთავრებლად იმ პირობით, რომ დაუყონებლივ ბოლო მიეცეს შენობის დამთავრებასაო.

*** სომეხთ დრამატიულ კომიტეტის მინდობილობით,—როგორც თავისს დროზედ ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს,—სტამბოლში გაგზავნილ იქმნა სომხურ თეატრის არტისტი ბ-ნი პეტროსიანი იმ აზრით, რომ სომხურ თეატრისათვის დასი შეედგინა. ბ-ნი პეტროსიანი ეს ერთი თთვე მეტია სტამბოლში იმყოფება და იმის ცდაშია, რომ დასი შეადგინოს; ზოგიერთს არტისტთან კიდეც მოულაპარაკნია და საქმე ბოლოვდებოდა, რომ ერთი ახირებული ამბავი არ შემთხვეოდა, როგორც გაზ. „ტ. ლისტოკ.“-ის რედაქციას შეუტყვია. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით ის ამბავი, რომელიც ამ რედაქციას სტამბოლიდამ მოსვლია: „აქ ტფილისიდამ წერილები მოვიდაო—იწერება სტამბოლიდამ კორესპონდენტი—იმ განზრახვით, რომ სტამბოლში არტისტ-ქალებსა და ვაჟებს როგორმე გადაათქმევინონ ტფილისში გამგზავრება. ამის გამო ბ-ნი პეტროსიანი, რომელიც არტისტების მისაწვევად ჩამოსულია აქ ტფილისიდამ, იძულებული შეიქმნა, მისულიყო აქაურს რუსეთის საელჩოში და წარედგინა თავისი ნდობის ქაღალდი ტფილისის სათეატრო კომიტეტისა და დაემტკიცებინა, რომ იგი ცრუკაცად-კი არა, ნამდვილად კომიტეტის სანდო კაცად მოსულა აქაო“.

რა უნდა იფიქროს კაცმა ამის შემდეგ, როცა თავისსავე საზოგადო საქმეს ეგრე „ხელს უწყობს“ ზოგიერთი ვაჟბატონი!.. ნუ თუ ამისთანა საქმეშიაც ველარ ითმინა ბოროტებამ და ესე საძაგლად იჩინა თავი?..

*** ამ თთვის 9, დილის 11 საათზე, ტფილისის ვაჭარმა იაგორ ივანეს ძემ დალანოვმა, რომელიც ვარანცოვის ვიწრო ქუჩაზე სცხოვრობს, პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა იჯარადარმა ივანე რომანოვმა წისქვილისა და საწყობიდგან მომპარა ჯაჭვები და აგრეთვე სხვა-და-სხვა ხელსაწყო სულ 350 მან. ღირებულიო. დამნაშავე შეიპყრეს და ზოგიერთი ნაპარავიც იპოვნეს.

*** 9 აგვისტოს ვერის ხიდზე მამად ალი ჰასან-ოღლიმ საზამთროთი დატვირთული პოვოზკა დააჯახა ანდრია მიშჩინსკის ხუთის წლის ბავშის. ბავშვს ფეხის თითებზე გადაუარა თვლებმა. დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს და ბავში სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს მუხრანის ქუჩაზე ნიკოლოზ შენგელიამ გაჭენებული ცხენი დაატაკა პოლიციის მოხელის ოთხის წლის ბავშს ანნა ციბულინს და მძიმედ დაშავა. ბავშს შემწეობა აღმოუჩინეს და დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

პატენციურად მქონები არის ბევრისა ნიჭების
ოქტკოფას არ ჰკრეფს, ვარდსა ჰკრეფს, როს ია მოეყრიჰების,
ნატვრითა ფრთითა დაჰფრინავს, ძირს ფეხი არ ებიჯების,
ტოლ-ამხანაგთა მოალხენს, „ზევსურად“ მოენიჰების;
ოტარიდს უმღერს ხმა ტკბილად ტურფა ლექსების ჟღერითა,
ქვეყანა მისი მშობელი უყვარს ყმითა და ბერითა,
სძაგს უგრძნობელი, უგულო სიტყვითა, თუნდა წერითა,
მტრფის მოძმეთა, გულადთა, სულდგმულობს თვისის ერითა,
ლომად შეხვდება ავ-გულსა, კარგს—გრძნობით ღმობიერითა;
სჯობს მზრდელი სულში იმედის შეიმკოს ყოველისფერითა!

## ნამდვილ-ქურუმები

ჩვენს კურთხეულს საქართველოში ჰბოგინებს ერთი სამ-სახელით მონათლული გადაბებული სოფელიც, რომელსაც შორაპანიც ეწოდება, ზესტაფონიც და ყვირილასაც ეძახიან, რადგან ამ სახელის მდინარე ჩაუდის, თუმცა ეს მდინარე შორაპნისა და ზესტაფონის სიკეთეს ვერაფერს დააჟუჟავს. ეს დაბა შესანიშნავია იმითი, რომ ჯერ ერთი, იგი ებეთლემა და იქ დაიბადა გამოჩენილი პოეტი-ლირიკოსი სევასტი, რომელმაც შემდეგის ტკბილ-ქართულის ლექსებით ისახელა თავი:

ბალკონზედ სტაიტ პონომრის შვილი,
სემენარისტი მაკარიოზი,
ვისოკს და ტონკსა ამოსჩისტოდა
ობოი გლაზის გნეზდო, ვით კოვზი.

მეორე: აქა განისცხრომებს დიდად სახელოვანი ანაფორიანი ლიტერატორი, რედაქტორი გადარუსულებულის „მწყემსისა“ და გადმოქართულებულის „Пастырь“-ისა, დიდად პატივცემული სულიერი მამა, რომელმაც თავი იმითი ისახელა, რომ ყოვლად გასაგები „დაბადების“ სიტყვები ყოვლად გაუგებრად გადაამდაბიურა და სოფ. კლდეეთის სასწავლებლის მოსწავლეებს სწორედ მეცნიერულად, დიდად გარკვევით და ნათლად განუმარტა (sic?), ბლის ხის ჯოხებს რადა ჰკიდებენ ხბორებსა და პატარა კვიცებს და რად არის ყმაწვილისათვის საჭირო გულზედ ჯვარი.

მესამე: ამ სამ-სახელიანს დაბაში მთელი დღე შავის ქვის მტვერი სდგას, შავის ქვის ქარი ჰქრის და დიდით პატარამდე ყველანი გაპირშავებულნი არიან. ამის წყალობით ამ შორაპან-ზესტაფონ-ყვირილაში მყოფ ერთად-ერთ რედაქციის რუს-ქართველი და ქართველ-რუსი თანამშრომელნი ყოველსავე თეთრს შავად ჰხედავენ და შავს თეთრად.

მეოთხე... კმარა, ჩვენ რომ ასე ავნუსხოთ ყოველივე ღირსება შორაპნისა, ყვირილის ოდენი მელანი არა გვყოფნის და ზესტაფონის ოდენი ქაღალდი. ესეც არ იყოს, ძველი სიგმირე და სახელოვანება რა სახსენებელია, როდესაც დღე ყოველ და ჟამ ყოველ ამ დაბიდგან სულ ახალი, ენით ენასა და ყურით ყურს საგოგმანებელი ამბავი მოგვდის მისის გმირობისა, მისის ქველობისა და სახელოვანებისა. მაშ არ-ახალი—ძველი ყვირილას გავატანოთ და ახალნი სიგმირენი ამა დაბისა შავს ქვაზედ მივაფეხმაგროთ შვილი-შვილთა საცნობელად.

ამ სამ-სახელა ერთ-დაბაში ამას წინად, სახელდობრ-კი 4 აგვისტოს, პანაშვიდი იყო დანიშნული საზოგადოების თხოვნით ერთის დიდად საყვარელის ქართველის მწერლისა. საზოგადოებას ამითი უნდოდა პატივი ეცა სასარგებლო მამულიშვილის სახელისათვის და სა-

# ფელეტონი

### წერილი მეგობართან

ძმაო ექვთიმე!

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მე და შენ ერთმანეთს აღარ გამოვსაუბრებივართ. ეხლა, ვგონებ, დროა ერთმანეთს გავაგებინოთ ჩვენჩვენი ავ-კარგი, გავუზიაროთ ფიქრი და გრძნობა. გრძნობა, თორემ ფიქრისა რა მოგახსენო: ისეთი დრო დადგა, რომ რაც ფიქრი აქვს, ისიც უნდა დაჰკარგოს კაცმა, განაღამც სხვა ფიქრები ეძიოს კაცმა და ჰკვებოს, სტანჯოს ისინიც და თავისი თავიც. ბაბილონის ენათა აღრევა თუ გინდა, ეხლა არის, ერთმანეთს ველარას ვაგონებთ: ვისაც პურსა სთხოვ, ქვას მოარბენინებს, წყალსა—შეშა მოაქვს, რომ იმ შეშით შენს თავზედვე ცეცხლი დაანთოს და ზედ ხელები მოითბოს. სიცოცხლე მომანიჭეო, ეხვეწები ვისმე, მოკვლას თუ მეხვეწებაო, ისა ჰგონია, და გკლავს კიდეც; რასაც გუშინ შავს ვეძახდით, დღეს იმას თეთრი დავარქვით; გუშინ რაც მაცლობად ითვლებოდა, დღეს მხდალობად გადიქცა; გუშინდელი უნამუსობა, დღეს ნამუსიანობად გამობრწყინდა.

ერთის გარემოებისაგან გული ისე ამემღვრა, რომ ლამის მთელი ანა-ბანა წყევა-კრულვით მოვიხსენიო, თუმცა-კი უიმისოდ ერთს სიტყვასაც ვერ მოგწერ, ვერ შეგატყობინებ ამ ათასის ვერსის მანძილზე. ან-კი მთელმა ანა-ბანამ რა დამიშავა? ტყუილად არ არის ნათქვამი ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი სხვა გაატალახიანაო. მთელი ანა-ბანა-კი არა, ერთი ასოა დამნაშავე, რომელსაც „თანი“ ჰქვიან. მწერლობაში ეს თანი ვეშაპად გადაიქცა და ლამის მთელი გაზეთი გადაყლაპოს. იმის დანახვაზე რაღაც ცუდს სიზმრებსა ვხედავ, ცუდი ნიშნები მიდგება თვალ-წინ. დასწყევლოს ღმერთმა ისიც და იმის გაჩენის დღეც. ამ სამგლე ასომ გუნება მომიწამლა, იმედი გამიცრუა, დავსცქერი გაზეთსა, იქიდამ გამოიბღვირება თან მედიდურად, მაგრამ ჭკვა და მოსაზრება-კი არფერი ეტყობა თვალებში. რას ჰნიშნავს ეს „თანი?“ იქნება თივაა? იქნება თომა (ურწმუნობა)? იქნება თავსა ჰნიშნავს? აფსუს, რომ თავს თავში ეს უგუნური ასო უზის!.. „განმა“ და „ანმა“ რაღა დააშავა? მოდი იმათაც მივანიჭოთ იგივე უფლება, რაც „თანსა“ აქვს, გაუსოთ ძირზე ხაზი, ე. ი. შევსოთ ქანდარაზე, რომ იმათაც ცალკ-ცალკე იყვლონ, რაც ძალი და ღონე აქვ: სოფელი უნდა ავაშენოო!

ტყუილად არ გითხარი, ფიქრმა დაკარგა ადგილი ჩვენ შორის და იმის მაგიერად გაფუჭებულმა გრძნობამ შეიპყრო ქვეყანა—მეთქი. რა გაუჭირდება ქვეყანას, თუ საღის ფიქრის შნო და უნარი აქვს, თუ საღის გრძნობითა ჰგრძნობს თავის ცხოვრების ავსა და კარგს? არაფერი.

მაშ ფიქრი რა ვუყავით, ვის დავულოცეთ? სად დავგრჩა? სად დავკარგეთ? აი ეხლავე მოგახსენებ. გუშინდელ მოღვაწეთ, რომელთაგანი ბევრნი დღესაც კიდევ ჰმოღვაწეობენ მწერლობაში, სხვა ფიქრი აწუხებდათ, ისინი ერთს კარგს საქმეს ფიქრობდენ. რასა? ეს შენ თითონ გაიგე. დღეს ამ ფიქრზე ხელი აიღეს და თავისს მკითხველებსაც ხელი აალებინეს. ალბად ან გათავებულად ჩასთვალეს საქმე და ან სხვა ფიქრმა ჩააფუშინა ის პირვანდელი აზრი. დღეს ამ ფიქრის აღსრულებაში მოყვანა უხერხულად დაინახეს. მაშ იმის მაგიერი რა აზრი მოგვცეს, რა ფიქრი მოგვცეს. რას ვხედავთ იმის მკითხველების თავსა და გულში? რასა და ცალიერს ადგილს, ადგილს ტიალს, წრიოკს. ვინ იტყვის, ომიაო, თუ-კი მეომარ-მოლაშქრენი არსადა სჩანან? ვსთქვათ, უიარაღო ხალხი სჩანს, ვინ დაარქმევს იმათ მეომრებს?! შეიძლება განა სმა უსასმლოდ, ჭამა უსაჭმლოდ? შეიძლება სიყვარული უსაგნოდ? შეიძლება სახელმწიფო უხალხოდ?

ვამბობ რა ამას, შენ გეკითხები და შენთან ერთად იმ მწერალთაც, რა ფიქრი მოგვცეს გუშინდელის ფიქრის მაგიერად? სად არის დღეს ეს ფიქრი, სად დაიმალა იმისი თავი და ბოლო? თითქოს ბუნებაში არაფერი იკარგება. სად არის იმ ფიქრის გული და თვალები? რას ვინ ფიქრობს, რას ვინ აკეთებს? თუ ფიქრია, საქმე სადღაა? გაგონილა ფიქრი უსაქმოდ?! ვიცით, რას მოველით ხვალ? ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ დღეს, რა გამოადგება „ხვალეს“? არ ვიცით.

რამოდენს ამბავშია კართ,
ველებით ღობე-ყორესა;
რამდენსაც მრუდს საქმეს ვსჩადით,
იმდენს სად ვიზამთ სწორესა!?
სიცოცხლით გალაღებულნი
დღეს როდი ველით ზნელსაო...
შვილთ ხსოვნას არ ვუფრთხილდებით,
მოიგონებენ ძველსაო,
ძველს დროსა, ძველთა საქმეთა,
ჩვენკენ თვალ-გულით მზირალნი...
ჩვენისა უკეთურობით
ნუმც დარჩებიან მტირალნი!

როგორ არაო, მიპასუხებ შენ და შენთან სხვანიც მრავალნი: გაზეთებს ვბეჭდავთ (ვინ კითხულობს მერე?), გვყავს „წერა-კითხვის საზოგადოება“, გვყავს „წიგნების გამომცემელი საზოგადოება“, გვაქვს ბევრი რამ სხვა საქმე დაწყებული, საქვეყნო საერო. ეს საქმეები შენც იცი, მეც და სხვამაც ბევრმა, მაგრამ, მაგარი ის არის, ეს დღევანდელი ჩვენი საქმე და მარტო წვრილმანი ფიქრები არა კმარა ქვეყნისათვის. დიაღ, ეს დღევანდელი ფიქრები და დღევანდელი საქმე ქვეყანას იარას ვერ გაუმთელებს, იარა არ მორჩება, თუ ჩვენი ფიქრი არ გვასუქთ...

ან-კი რაში გვინდა ეს სწავლის მთესველი საზოგადოებანი, როცა თურმე სწავლას, როგორც გვატყობინებენ ხალხთან დაახლოვებულნი, ხალხი განზე უდგება, უფრთხის,—„ხალხი სცდილობს, როგორმე თავიდგან მოიშოროს სკოლა და გლოვობს სკოლის დაარსების განაჩენის შედგენას... რა არის ამის მიზეზი? მართლა ჩვენი გლეხები იდიოტები ხომ არ არიან, სწავლის მნიშვნელობა, სწავლის ძალა არ ესმოდეთ? დავიჯეროთ, არ ესმის გლეხ-კაცობას სწავლის ძალა დღევანდელს დღეს? სოფლის მეთვალყურენი შემოგვჩი-

ჯაროდ მოეხსენებინა ლოცვათა შინა სული მისი. მღვდლები მოემზადნენ, პანაშვიდი გადაიხადეს და საზოგადოებამაც სანთლები დაიჭირა ხელში. როცა სანთლები აინთო, აღმოჩნდა, რომ სულ სამი სანთელი ენთო და ეს სამი სანთელი სამის კაცის სამს ხელს ეჭირა. ამისთანა ამბავი მარტო და მხოლოდ ჩვენშია შესაძლებელი! აქამდე გვეგონა, რომ როგორც სამს ცხვარს ფარა არ დაერქმევა, ისე სამს კაცს საზოგადოებაო, და თურმე ეს ასე არა ყოფილა. ამ ახირებულს დაბას ყოველ თავისის სახელის ცალკე წარმომადგენელი გაუგზავნია პანაშვიდზედ დასასწრებლად. ამიერიდგან მთელს ევროპაში შეგვიძლიან თავი მოვიწონოთ, რომ საქართველოში ერთი გაქალაქობას მოწადინებული დაბაა, რომელსაც სამი სახელი ჰქვიან და რომელშიაც სამი გამოქალაქეობას მოსურვებული დაბელი სცხოვრობს. სწორედ უმაგალითო ამბავია მსოფლიო ისტორიაში, რომ ხუთს მღვდელს გადაეხადნოს საზოგადოების თხოვნით საქვეყნო მოღვაწის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი და სულ სამის კაცისაგან შემდგარი საზოგადოება დასწრებოდეს!!! ვინ იცის, ისინიც სრული კაცები იყვნენ, იქნება, სახელით სამნი, სახრავით ერთადაც ძნელად ჩასათვლელნი იყვნენ, როგორც თვით დაბა შორაპან-ზესტაფონ-ყვირილაა?! მაინც-კი კარგი იქნება, რომ ამ სამისავე კაცის სახელი და გვარი რკინის ფიცარზედ ამოიჭრას დავარაყებულის ასოებით და რკინის გზის სადგურს „ყვირილაზედ“ გაიკრას საქვეყნო საცნობელად და განსაოცებლად.

ამას შემდეგ ან-კი საკვირველია განა, რომ ამ ახირებულს დაბაში მცხოვრებმა ახირებულ გაზეთის ახირებულმა რედაქტორმა ახირებული პოლემიკა იცოდეს! საკვირველი არ არის, მაგრამ აღნიშვნის ღირსი-კია. მოგეხსენებათ „ივერიაში“ ბ-ნმა ქართლოსისძემ დაჰბეჭდა ვრცელი წერილი: „მოკლე მიმოხილვა ჩვენის სალმრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისა“. ეს წერილი არაფრად სჭაშნიკებია გაზ. „მწყემსს“, სწყრება, ღობეს რად ეფარება ეგ ვიღაც ქართლოსისძეა, დ. ღამბაშიძის მოწინააღმდეგეო, და აი რა მართებულის ეპიტეტებით და სამღვთო წერილიდგან ამონაკრების ლექსიკონით იხსენიებს ამ წერილსაცა და წერილის დამწერსაც.

მოხუცებული სომეხ-ფრანგი ყმაწვილი...

ქართლოსისძის იეზუიტური და უსინიდისო საქციელი...

ნათლიაობის გრძნობით გატაცებულმა მოინდომა ერთი ნათლიმამის ძველი სტამბის გასაღება სასინოდო კანტორაზედ...

ყველა გონება-დაჩლუნგებული პირების ცილის-წამებას ბევრად გადაეჭარბება ქართლოსისძის გაპრტყელებული ცარიელი სიტყვები...

რას მიედ-მოედება?..

ამდენის ყბედობით...

ქართლოსისძეს იმედი აქვს, რომ რომის პაპა ისევ დაუბრუნებს სასწავლებლის ზედამხედველობას და ის ისევ თავისებურად განაგებს სასწავლებლის მეურნეობას ღვთისაგან კურთხეულს ქალაქს თელავში... ქართლოსისძე მეორე ამხანაგია ბ. სა—ნისა, რომელიც ქვეყანას უმტკიცებდა, რომ მე ქართველი პატრიოტი ვარო, და ბოლოს ფიცით აღიარა, მე ქართველი არა ვარო...

ქართლოსისძე... ღობეს ამოფარებია და ტალახს ისვრის თავისი გასვრილი ენით...

საზიზღარი ცილის-წამება...

აშკარა სიცრუე და სნეული და დაჩლუნგებული ტვინის ბოდვაა...

გონების თვალები დამსია...

ქართლოსისძეს ვიცნობთ ცოტა ჭკუაზედ გამწყრალად!..

ძნელია ავი ზნის სნეულება... თუ გაუარა კაცს ტანში, უთუოდ ტვინს გაულაყებს და გონებას დაუჩლუნგებს... (იხ. „მწყემსი“ №№ 13 და 14).

კმარა! ეს მარგალიტებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ მ. ღამბაშიძე რამდენად მისდევს სამღვთო წერილის მოძღვრებას: „დააცხვრენ ენაჲ შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყიან ზაკვასა“! ამას კიდევ არა სჯერდება „მართებული მწერალი“ და თავისის მოკამათის ფსევდონიმსაც ფარდასა ჰხდის, მართებულობის ამ ერთად-ერთს ყველასათვის წმინდად და ხელ-შეუხებლად აღიარებულს წესსაც ჰლახავს და დაურიდებლად აბიჯებს ზედ... იმის მეტი რა გვეთქმის, რომ აფსუს ან... და უფალო, შეუნდენ, რამეთუ არა იციან, რას იქმნან!.. ესეც არ იყოს, ის ხომ აშკარაა, რომ

კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოდინდების.

დუშიკო

---

## ხმა პროვინციიდამ

ეჰვი არ არის გენახვებათ, ჩემო ბატონო, მინდვრად გადაგდებული ლეში, რომელსაც ყოველის მხრიდგან დახვევია გაუმაძღარი ყვავ-ყორანი და ნისკარტ-ბრჭყალებით ჰგლეჯენ ლუკმა-ლუკმად. ეს სავაგლახო სურათი წარმომიდგება ხოლმე თვალწინ, როდესაც-კი სოფლად გამოვდივარ და გლეხ-კაცის ყოფა-ცხოვრებასა ვხედავ. პაპანაქება სიცხეა, თუ ზამთრის ქარაშოტი დაღმუის, ღამეა, თუ დღე... ერთის სიტყვით, ყოველ ჟამსა და წამს გლეხი კაცი მუშაობს, წელში სწყდება მომეტებულის ჯაფისაგან; მკერდიდგან მონაწურის ოფლით ასველებს მინდორსა და ველსა, მთასა და ბარსა, რომელიც ყოველს ზაფხულობით მოსავლით ივსება; ღვთისაგან ნაკურთხი ჭინახული ზღვასავითა ჰღელავს და სიხარულის ნეტარებით ავსებს ყოველს თავის მნახველის გულს! მაგრამ აგერ დგება შემოდგომა, მოსავალი მინდორ-ველიდგან სოფლებად გროვდება და შემდეგ, რაღაც ულმერთო მანქანების წყალობით, უცებ სადღაცა ჰქრება, ანუ, უფრო სწორედ, მოწალმართის ხელიდგან უკულმართის ხელში გადადის. ეს „უკულმართი ხელები“-კი, ქვეყნის საუბედუროდ, ნელ-ნელა მრავლდება, ძალითა და ძლიერებით იმოსება. სინიდისსა და სამართალს უარსა ჰყოფენ, თავიანთ მეუფედ ფულს აღიარებენ, ხოლო სარწმუნოებად „კანონსა“. სამწუხარო აქ კიდევ ის არის, რომ ამ ახალ დროების სარწმუნოების მიმდევარნი არა მარტო ქალაქებიდგან გამოდიან, არამედ სოფლებშიაც ბლომად მოიპოვებიან დღეს!.. ქალაქელსა და სოფლელს „უკულმართს ხელს“ ერთმანეთი ჭირივით ეჯავრებათ, ისე, როგორც ორს ქოფაკს ეჯავრებათ ერთმანეთი, როდესაც ერთი გამოსახრავი ძვალი უდევთ წინ. თუმცა ეს ასეა, მაგრამ სულით და გულით ორივენი ერთნი არიან, რადგან ერთსა და იმავე ღმერთსა სცემენ თაყვანს, ერთი და იგივე საგანი აქვთ ორივესა. ღმერთია ფული, ხოლო საგანს, კანონის საშუალებით, გლეხ-კაცის ცარცვა-გლეჯა შეადგენს. ყველაზედ უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ გვარს მოვლენას თავისი ძლიერი, მრავალ-ფერსვებიანი მიზეზები აქვს და ამიტომ ამ ახლო მომავალში უფრო მის გაძლიერებას უნდა მოველოდდეთ, ვიდრე მისს მოსპობასა. მაშ რა გვეშველება?.. რა უნდა ვქნათ?.. ნუ თუ გულხელი უნდა დავიკრიფოთ და საკლავისავით ყელ გადაგდებულნი უნდა შევცქეროდეთ იმის პარპაშობის ზრდასა და გამეფებას?.. როდესაც ავადმყოფის სნეულებას სხვა-და-სხვა მიზეზის გამო წამალი ვერ უდგება, მაშინ გონიერი ექიმი იმისთანა საშუალებას მიმართავს, რომელიც დროებით მაინც შეუმსუბუქებს ხოლმე ავადმყოფს გაჭირებულს მდგომარეობას. „იქნება, ჰფიქრობს ამ დროს ექიმი,—ჩემს შემდეგ გამოჩნდეს ისეთი ვინმე, რომ შეიძლოს ამ სნეულების მიზეზთა გამოკვლევა და მის არსებობას ბოლო მოუღოს“!.. ჩვენის აზრით, სწორედ ამ გვარს ჰკვიანს ექიმს წააგავს ის პატივცემული კაცი, რომელზედაც გვინდა ეხლა ლაპარაკი.

—

„ივერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ წელს, მაისის შუა რიცხვებში ტფილისის გუბერნატორი თავ. შარვაშიძე ბრძანდებოდა გორის მაზრაში, სადაც მან დაჰყო შვიდირვა დღე. ამ დროს განმავლობაში მან დაათვალიერა ქართლის უმთავრესი ადგილები, მოიარა რამდენიმე დიდი სოფელი, რომელთა მცხოვრებლებს მამობრიულის გულმტკივნეულობით არიგებდა და, შეძლებისა დაგვარად, თხოვნას უკმაყოფილებდა. მაგრამ ყველაზედ უფრო მომეტებულს დროს მათი ბრწყინვალება ახმარებდა ერთს დიდ მნიშვნელობიანს საქმესა, რომლის განხორციელებაზედაც ჰქადაგებდა იგი ყოველგან, სადაც-კი მსმენელსა ჰხვდავდა. ეს საქმე ისეთი მარტივია, რომ თვით მცირე ჭკუის კაციც-კი ადვილად ხვდებოდა მისს სასარგებლო შინაარსსა და გულწრფელად თანაუგრძნობდა მისს პატივცემულს მქადაგებელსა. აი რაში მდგომარეობს ამ წმიდა საქმის შინაარსი: კალოობაზე ყოველმა მუშა კაცმა უნდა გამოიტანოს ორორი ჩანახი პური; ეს ხორბალი მეორე წლამდის უნდა ინახებოდეს საზოგადოების ბეღელში. თუ მეორე წელმწადს მოსავალი არ არის კარგი, ამ პურით ხელს მოინაცვლებენ საზოგადოების წევრნი; მაგრამ რადგან ამ გვარი მოუსავლიანი წელიწადი იშვიათადა დგება ხოლმე, ამიტომ, მომეტებულს შემთხვევაში ხელ ახლად პურის მოგროვების დროს წინა წლის პური უნდა გაიყიდოს და აღებული ფული შენახულ იქმნას ხაზინაში. ამგვარად უნდა განეგრძოს საქმის მსვლელობა, ვიდრე საზოგადოებას არ შეუდგება კარგა დიდი ფული. ამ ფულს შეინახავენ სახელმწიფო ბანკში. ერთის მხრივ ყოველ წლიურის შენატანით ამ თანხას ზრდა მიეცემა, მეორეს მხრით იმისს სარგებელს გამოიტანენ და საერთო გადაწყვეტილებით მოიხმარებენ სოფლის სხვა-და-სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მაგალითებრ, ამ ფულით იყიდიან ტყესა, საძოვარსა, სახნავ-სათესს მამულსა, გაჰმართავენ სკოლას, გაიყვანენ გზებს, გადაიხდიან სახელმწიფო ხარჯს და სხვანი. რომ ეს საქმე ადვილი განსახორციელებელია, ამას, ვგონებ, ყოველი კაცი საკუთარის მოსაზრების შემწეობითაც კარგად მიხვდება, მაგრამ, როცა ამ მოსაზრებას თვით ხორც შესხმული საქმეც გვერდს ამოუდგება, მაშინ, რაღა თქმა უნდა,

---

ვიან: ხალხსა ვთხოვთ, მოდით სკოლაში წაგიკითხავთ, გაგაგებინებთ რასმეო, მაგრამ ყურს არ გვიგდებენ, თითქოს ბუზიც არ აჰფრენიათო.

მეცა მქონია, ბატონო ჩემო, იმავე გლეხთან საქმე, მეც მილაპარაკნია ამავე საქმეზე და იგივე პასუხი მიმიღია, რაც მეთვალყურეებს, მაგრამ მქონია კიდევ სხვა შემთხვევაც, რომელმაც ბნელიდგან ნათელში გამომიყვანა. ერთხელ მე და რამდენიმე ერის კაცი ტკბილს ქართულს პურის ჭამაზე ვისხედით. იმათ მთხოვეს: ნასწავლი კაცი ხარ, ერთი კარგი რამ გვითხარიო! მეც იმ დროს ხალხური ლექსი მომაგონდა. აი ეს ლექსიც:

თამარს (დედოფალს) უამბო დედამა:
„შენზედ სიზმარი ვნახეო;
„ერთსა სარკეში ჩავხედენ,
ხმლეთ სრულდ დავინახეო.
„შენ იყო, შვილო, ქვეყანა,
„შავნებით შაინახეო!“

ამ ლექსის თქმაზედ ყველას თვალები მოუცრემლიანდა: ზოგმა ქვითინი დაიწყო. ეს დიდი ამბავია, მთელი მეცნიერებაა. ამ გარემოებამ დამაფიქრა და ბევრი რამ მომაგონა. თუ მართლა ხალხი უმეცარია, უბირია, უგუნურია, რად სტირის იმაზე, რაც იმის თვალიდგან დიდის მანძილით არის განშორებული და რაც წარსულის დროის წყვდიადს შთაუნთქავს?

არა, ხალხის ბრალი არაფერია, რომ სკოლას უფრთხის და ცერად უცქერის, აქ სულ სხვა მიზეზია, მიზეზი ღირს-საცოდნელი.., ეს რომ ვიცოდეთ, ამას რომ ვუკვირდებოდეთ, ამ მიზეზის შედეგს რომ ვპატრონობდეთ, და ამით მიზეზის ძალას ვაბათილებდეთ, საქმე სხვანაირად წავიდოდა; დარწმუნებული ვარ, ხალხის გულში ასეთი შხამიანი ფიქრი არ დაიბუდება.

განა ჩვენმა ხალხმა არ იცის რომ,

კით უსაჭურვლოდ მამაცი,
ომშიგან გულად ლომობდეს;
გაცოფებული გულ-ბრაზად
კეფხვი უკლანჭოდ ომობდეს;
ვერ აღასრულოს საწადი,
რაც ჰნებავს, მისთვის ღონობდეს...
ეგრეც ჭკვიანი, უწვრთელი,
ვერ მიჰხვდეს, რასაც ნდომობდეს.

სწავლა ხომ ცხოვრებაში ხმალია და, როგორც მეომარი არ ვარგა უიარაღოდ, ისე უსწავლოდ კაცი: რომელიც მუდამ „თან დასდევს მცოდნესა“, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჩვენს ხალხს ჯიბე აღარ დასდევს თანა. სხვა მიზეზთან ერთად ესეც ბარაქიანი მიზეზია. ერთხელ გაძღომისათვის დუქანში ხუთს მანათსა ვხარჯავთ და მანათი-კი ვერ გაგვიმეტებია, რომ სწავლა ვიგემოთ, რა ხილია. ეს მართლაც რომ უბედურებაა, მართლა სატირელი, სავალალო ამბავია. ძველს დროში, როცა უფრო გასაჭირი დრო ედგა საქართველოს და ქართველებსაც ცალს ხელში ხმალი ეჭირათ და მეორეში—გუთანი, მაშინ იცლიდნენ სწავლისათვის, მაშინ ეწაფებოდნენ სწავლას, მაშინ არა სძულდათ ნათელი და ეხლა რაღა ღვთის წყრომაა ჩვენს თავს, რომ კარებზე მომდგარს სინათლეს, უტიოთ ხმლითა და ვსდევნოთ ჩვენ კარ-მიდამოდგან: მოგვწყდი თავიდამაო! ნუ თუ უკეთურობა, უმადურობა, უგერგილობა არ არის ესა? რატომ არ გვინდა, გავიგოთ: რაც უნდა ბევრი ნაკლულევანება ჰქონდეს დღევანდელს სწავლების საქმეს, მაინც კიდევ სჯობია ეს სწავლა უსწავლებობას!?

თუ-კი თამარ-მეფის ხსენებაზე გული მოუჩქარებს ცემას, სახეს წითელი ფერი სცემს, თვალებზე ცრემლი გუბედა, რატომ სწავლისათვის, სკოლების გამრავლებისათვის, იმათ დამკვიდრებისათვის არ ავღელდებით, არ ავღფრთოვანდებით? რატომ არ გვესმის, რომ თამარის დრო ქართველთ მხედრებისაგან გაჟლეტილ მტრის სისხლის ტბა-კი არ იყო მარტო, არამედ სკოლაც... სკოლა, კაი სკოლა, კარგს ნიადაგზე დაყენებული. რომ უმეცარი ყოფილიყო თამარის დრო, ხომ არც ისეთი ძლიერი იქნებოდა მაშინ საქართველო. უმეცრება და ძლიერება ერთად ვერ მოთავსდებიან, როგორც ცეცხლი და წყალი, ერთმანეთში არეული... თუ განათლებულნი არ იყვნენ მაშინდელი ქართველები, არც ისე გაირჯებოდნენ თავის სამშობლოს, თავის მიწა-წყლის გულისათვის, როგორც გაისარჯნენ. სწავლა ხომ ჭკუაა, მაგრამ იმავე დროს მამაცობაც, ვაჟკაცობაც რომ... ეს აღარ ვიცით...

ყველა ჩვენგანს მოსწონს ის „ოქროს დრო“, მაგრამ აბა დავეკითხოთ ჩვენს თავს, თუ ბევრმა სრულის ნამდვილის პასუხის მოძებნა შევიძლოთ. ისეთს სიყვარულსაც რა უთხრა, რომელიც მოსაზრებითა და მსჯელობით არ არის მონათლული! მე ასე ვსჯი და ასე ვფიქრობ, ის სანეტარო ხანა ჩვენის ისტორიულის ცხოვრებისა გულს ანდამატივით იმიტომ იტაცებს, რომ, როგორც ქარველის ხმლის გამარჯვებისა, ასე სანათლის გამარჯვების დროც გახლდათ. ხმლის გამარჯვება იყოვო, ვიცით და სინათლის გამარჯვებისა-კი აღარაფერი გვესმის. უბედურება კიდეც ეს არის.

ვერა ვინ იტყვის იმასა,
რომ ხმლითა ქვეყნობს ქვეყანა,
ხმალი რას იზამს, სალესლად
თუ სწავლა არ დაეტანა?!
სწავლით გაგვიმწრის ფრანგული,
რიხი ექნება მტრისადა;
გაწრთით წინ მიჰყავს მხედარი,
მკვდარს არეინებს ქვიშადა.
სწავლა ციხეა მაგარი,
ნაგები მტრისა შიშადა...
მითამ სიბნელე არ გვიყვარს
და სწავლა მოგვდის ჯიშადა.
მითამ ჩვენაცა გვყოლია
კაცები სახელიანი,
უახდერმებავ ჩვენთვინა
ფიქრები ნათელიანი?!
მითამ უჭმევ ქუდები,
აუკალთიათ ჩოხები;
სისხლით და ოფლით ურწყვიათ
სამშობლოს მიწა-გოხები;
წიგნიც სცოდნიათ, ხმლის ქნევაც,
უმრავლებიათ მძოხები,
და თავზე მერდინ წაკრულთა
დროს უხმარიათ თოხები.
მითამ გვყოფილვართ ერთს დროსა
კაცნი ცნობილნი კაცადა,
დღეს-კი ვიწვებით ცეცხლშია
ლამის გადვიქცეთ ნაცრადა!..
მითამ კარგნი ვართ ისევა
ტანად თვალად და ფერითა,
რად ვიმურებით მალათი
ფესით, კუმრით და მტვერითა?!.

შენი ერთგული მამუკა

ყველანი რწმენითა და იმედით აღივსებიან. ტფილისის მაზრაში ზოგიერთს ადგილს ამ საქმეს უკვე თვისი ნაყოფი გამოუღია: ერთს საზოგადოებას უყიდნია ტყე, მეორეს შეუძენია საძოვარი. ცხადია, რომ ეს საქმე დიდს შეღავათს მისცემს ჩვენ ხალხსა, დიდს სარგებლობას მოუტანს. ღვთის მადლით, პური დ ღვინო ქართველს კაცს საკმარისი მოსდის, მაგრამ უფულობის გამო ამ პურ-ღვინოს მომეტებული ნაწილი კაცი ჭამია ფულიანის ხალხის ხელში გადადის და შემდეგ გლეხი თავისს ნაამაგდარს უცხო კაცისაგან მამასისხლად ყიდულობს. ჰყიდულობს რითი? მომეტებულს შემთხვევაში თამასუქითა, რომელიც ეშმაკურად, ათასნაირის „აბლაკატურის“ ხრიკებით იწერება და ობობას ქსელივით ეხვევა გარეშემო უბადრუკს მუშასა. ამნაირად, უფულობა ჰლუპავს ჩვენს გლეხს, ხოლო ფულის შეძენა ბევრ გვარად გააუმჯობესებს იმისს ყოფა-ცხოვრებასა. თუმცა ეს ასეა და თუმცა ზემოხსენებულ საქმის სიკეთე ცხადადა სჩანს, მაგრამ ხალხი თავისთავად მის განხორციელებას მაინც ვერ მოახერხებს. საჭიროა, რომ მოთავე ამ საქმისა თვითვე გაუძღვეს წინ ხალხსა, თვისის უფლება-გავლენით აზრი საქმედ აქციოს და ამით, სხვათა შორის, საუკუნო ძეგლი აუგოს თავისს პატივცემულს სახელსა.

—

ამ ზემოდ აღნიშნულს საქმის მნიშვნელობა ჩვენებურმა თავად-აზნაურობამაც ცხადად შეიგნო. ჯერ მაშინვე, როდესაც ბ-ნი გუბერნატორი აქა ბრძანდებოდა, თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა მის წინაშე წარმოსთქვეს ამ საქმეში ჩარევის სურვილი. ამაზედ მათმა ბრწყინვალებამ უპასუხა: კეთილშობილთა შესახებ მე ამჟამად არავითარი მონდობილობა არა მაქვს უმაღლესის მთავრობისაგანო, მაგრამ შეიძლება ვიშუამდგომლო და მაშინ, ეჭვი არ არის, მთავრობა დააკმაყოფილებს თქვენს კანონიერს თხოვნასაო.. ამისთანა პასუხმა ჯეროვანი კეთილი გავლენა მოახდინა თავად-აზნაურობაზე. ბ-ნ გუბერნატორის წაბრძანების შემდეგ აღნიშნულ საქმის ქადაგება გააგრძელა ჩვენის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, რომლის შემწეობით რამდენისამე საზოგადოების კეთილშობილთ უკვე ხელი მიჰყვეს ჰინახულის შეგროვებასა. მაგალითებრ, შინდისის აზნაურიშვილებს მკათათვის 20 ჰქონდათ ამ საგნის შესახებ კრება, რომელზედაც მიწვეული იყო ი. დ—ძე სულხანიშვილი. აქვე ბრძანდებოდა რამდენიმე მანდილოსანიც. ბ-ნმა სულხანიშვილმა შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „უპატივცემულესნო დანო!. იმავ ძველის დროდგანვე მოკიდებული ქალებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს სამშობლოში: თუმცა მას შემდეგ ჩვენის ცხოვრების ბედ-იღბალმა ბევრნაირად იცვალა ფერი და მასთან თქვენი უწინდელი მდგომარეობაც შეიცვალა, მაგრამ მნიშვნელობა ქალებისა ჯერ აქამომდე ძლიერია ჩვენს საზოგადოებაში!.. ამიტომ დახმარება თქვენი ყოველს საზოგადო საქმეში აუცილებლად საჭიროა. სრული იმედი მაქვს, რომ თქვენს თანაგრძნობას არ მოაკლებთ იმ დიდად სასარგებლო საქმეს, რომელიც დაიწყო პატივცემთლმა ბ-ნმა გუბერნატორმა ჩვენთა და ჩვენის შვილების სასარგებლოდ“... მთელმა კრებამ სიამოვნებით მოისმინა ეს სიტყვა და ერთ-ხმად გადასწყვიტა—დაუყოვნებლივ დაწყება საქმისა. ბ-ნი სულხანიშვილი ახლა სხვა სოფლებში აპირობს თურმე გამგზავრებას...

პროვინციელი

წ. 3 აგვისტო
ს. არბო

## წვრილი ამბავი

ვენის პოლიციის უფროსმა პოლიციელებს შემდეგი ბრძანება გაუგზავნა თურმე: „მთავრობის უმაღლესს წრეებში ეხლა იმის შესახებ სჯიან და თათბირობენ, რომ კარგი იქნება, თუ არა, რომ საადმინისტრაციო წესით აღვკრძალოთ შლეიფების ტარება ქუჩებსა და მოედნებზეო. ქვემო ავსტრიის სასანიტარო საბჭომ აღიარა, რომ შლეიფების ტარების აღკრძალვა დიდად სასურველია, რადგან გრძელის შლეიფების გამო ქუჩებში მტვერი დგება, გამვლელ-გამომვლელს ყელს უხრაწნავს და ათასი სნეულება ჩააქვს თანაო. ამ აზრის განხორციელება დიდად ძნელია და ამიტომ გთხოვთ 15 ივლისამდე შემოიტანოთ ქაღალდი და გვაცნობოთ, რა აზრისანი ხართ, საჭიროა, თუ არა რომ აღვკრძალოთ ქუჩებში შლეიფების ტარება“. პოლიციელების აზრი ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

— „Wiener Theter Courrier“-ში შემდეგი ცნობებია მოყვანილი იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან არტისტები კულისებს უკან სცენაზედ გამოსვლამდე: ლიუდოვიგ ბარნაი ფეხ-ჩქარად ბოლთასა სცემს თავისს მოსართავს ოთახში; ყოველთვის ეხამუშება სცენაზედ გამოსვლა, თითქოს ძალიან იტანჯებოდესო; გამოსვლის დროს კარებთან შედგება ხოლმე და გაქანებული შერბის. პოსსარტი ყველაზედ მოუსვენარი კაცია, კულისებს უკან ხელებს იფშვნეტავს, თავისს ყურებს ეჭიდება, თმებს იბდღვნის; გამოსვლის წინად შესაზრალისად ჰკვნესის და ჰკვნესეს, თითქოს სული უნდა დალიოსო, მხოლოდ ლამპარას სინათლის დანახვისათანავე-კი წყნარდება. ფრიდრის მაზეს, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად წარმოდგენებს ჰმართავდა პეტერბურგში, ჩვეულებად აქვს, ყოველთვის სერთუკის ღილებს იხსნის და იკრავს, ან ხელთათმანს აღელვებისაგან იხდის და იცვამს. არტისტი-ქალი დეზირე არაგო სცენაზე მისვლამდე თუ სკამი დაინახა, უეჭველად ჩამოჯდება და შეისვენებს; სცენაზე გასვლის წინ-კი ყოველთვის პირჯვარს იწერს. იმისი ქმარი, ბარიტონი პადილლა, სცენაზედ გასვლის წინ ყოველთვის ერთს ბოთლს ბორდოს ღვინოსა სვამს. კლარა მორრისი ყოველს სცენაზედ გასვლაზე ისე სწმუწნის თავისს ხელსახოცს, რომ წარმოდგენის გათავებისას ყოველთვის ნაჭერ-ნაჭერად არის ხოლმე ქცეული.

— პარიჟში იმყოფება ამ ჟამად ამერიკელი ქალი პოტტერ-პალმერი, თავმჯდომარე ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენის დედათა კომიტეტისა. ამ კომიტეტს აზრად აქვს განსაკუთრებული დედათა გამოფენა გამართოს, რომლისთვისაც ყველაფერი, შენობის გეგმიდგან დაწყებული, სულ ქალების ხელით უნდა იყოს გაკეთებული. გეგმა უკვე შედგენილია ბოსტონელ ხუროთ-მოძღვარ-ქალ მისს ჰეიდენის მიერ. გამოფენილი იქმნება ყოველ გვარი დედათა ხელ-საქმე; განსაკუთრებული განყოფილება იქმნება ქალების მიერ დაწერილ და შენათხზ წიგნებისათვის; მეორეში იქნება გამართული სამკაულითი სამზარეულო და სხ. მისტრისს პოტტერი ევროპაში დამოგზაურობს ამ ჟამად იმ აზრით, რომ თანაგრძნობელნი მოუპოვოს გამოფენას. პარიჟში ამ ქალს დიდის თანაგრძნობით დახვედრიან და დახმარება აღუთქვამთ ქ-ნს კარნოსა და გარეშე საქმეთა მინისტრის მეუღლეს ქ-ნს რიბოს.

## დეპეშა

9 აგვისტო

**ლონდონი.** ვილლაფრანკში შეხვდა ერთმანეთს ინგლისის ხმელთა შუა ზღვის ესკადრა და საფრანგეთის ესკადრა. საფრანგეთის ადმირალმა დიპერრემ ინგლისელს აფიცრებს სადილი გაუმართა, რომლის დროსაც წარმოთქმულ იყო სადღეგრძელო დედოფალის ვიქტორიასი და პრეზიდენტის კარნოსი. იმავე დროს კრონშტადტში ნამყოფი საფრანგეთის ესკადრა მივიდა პორტსმუტში· გადაუხადა რა სამაგიერო დარბაზობა ადმირალს კლენ-ვილლიამსს და ჰერცოგს კანაუტელსა, ადმირალი ჟერვე თავისის აფიცრებითურთ ოსბორნში გაემგზავრა, სადაც დედოფალმა ინახულა. ძლიერ მშვენიერად დაუხვდნენ. ადმირალი სასახლის ეტლით წაიყვანეს. დედოფალმა გამართა საუზმე და სადილი. სადილის დროს დედოფლის გვერდი, ორს მხარეს, ისხდნენ საფრანგეთის ელჩი ვანდდინგტონი და ადმირალი ჟერვე.

10 აგვისტო

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, სახელმწიფო საბჭოში უნდა წარადგინონ მოხსენება შესახებ უცხოელთა დასახლების შესუსტებასა იმპერიაშიო.

„Нов. Вр.“ იუწყება, სათანადო მთავრობათ ებრძანათ, რომ ყოველგან შემოიღონ 1865 წ. 10 ივლ. და 1882 წ. 31 მაისის შემოიღონ, რათა ებრაელებმა უკანონოდ არ იმფლობელონ მიწებით, ქარის წისქვილებით და სხვა გვარის ქარხნებითაო.

**ბალტიმორა.** აქ მოვიდა 50 რუსეთის ებრაელი. ებრაელები დაიჭირეს. აღმოჩნდა, რომ არაფერი შეძლება არა ჰქონდათ. გზის ხარჯი დაფარულ იქმნა გირშის ფონდით. საქმე განსახილველად ვაშინგტონის ადმინისტრაციას გარდაეცემა.

**შანჰაი.** ძლიერმა ჩინეთის ესკადრამ ბრძანება მიიღო ნანკინში წასვლისა. მეორე ფლოტილია იან-ცვეკიანგის ჩრდილოეთით იკრიბება. პეკინის მთავრობა თანდათან უფრო აღშფოთებაში შედის, რადგან უცხო სახელმწიფონი იმუქრებიან, თუ ჩინეთი უარს გვეტყვის და არ დაგვაკმაყოფილებს, იარაღს მივმართავთო.


## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—9)



**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასასხადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზანებათ.

(20—19)



პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

## სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—8) ქარხნის პატრონი არტემ ანჯაფარიძე



ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დანია

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—11)


Дозв. ценз. Тифлисъ, 10-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე